



ივერი

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებთა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამაგრ. საზოგადოების კანცელარიას.
ფასა განცხადებისა:
ხვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

სახალხო სეირნობა

საქველ-სმოქმედობას რით უნდა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“—მაურ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-სმოქმედობის დასაწყისად 24-სა და 26 მაისს. შემოწმებულია წარმოგზავნა ამ საზრისათვის შეიძლება კნ. ოლკა თაღვლის ასულის გავრცელებისათვის, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავანისა და სავანის, № 21, და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სახლის ქუჩაზედ, თავად-ახსურთა ქარვასაში.

საფეთთაქო საქონლით მოაჯრე

ამიერ კავკასიის ფარმაკეუტა ამხანაგობის

დ ე კ რ

იმყოფება ტფილისში მუხრანთან ქუჩაზე, ქალაქის საქონლი-ლოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საქონლს საგნებს: სარეცხისათვის, სამკვლელებისათვის, ქურკისათვის და სხვ.

დებოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეგო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებთ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სახლის ქუჩაზე, დ. წ. სანაჯი-შვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлиς, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—43—29)

ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. ანგანაძე. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მას-საქს“, აუტრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნებით.

დიოქტორი სამკურნალო დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардиана.

Тифлиς, противъ памят. Воронцову.

მ ა შ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

გადავიდა საკუთარ სახლში, ყორანოვის ქუჩა, № 16. ავადმყოფებს იღებს დღით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. (10—5.—7)

ახალი ამბავი

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, გუშინ, 22 მაისს, დაიწყო ტფილისის სათავად-ახსაურო საადგილ-მამულა ბანკის რწმუნებულთა მორიგემა კრებამ ამა ბანკის წარსულის წლის ანგარიშის განხილვა. პირველს შემთხვევაშივე ასტყდა ლაპარაკი იმის თაობაზედ, რომ მე-23 წი წესდებისა ისე ვერ შეუსრულებიათ ანგარიშში, როგორც დადგენილი იყო შარშან რწმუნებულთა კრებისაგან. ბანკის გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა აუხსნა კრებას, რომ მართალია, ისე არ ავასრულეთ, როგორც შარშან რწმუნებულთა კრებამ დაადგინა, მაგრამ მიზეზი ამის ის იყო, რომ ის დადგენილება კანონს არ ეთანხმებოდა. ასტყდა ამხედ დიდი ბასი და გუშინ, 22 მაისს, და დღეს, 23 მაისს, ამხედ იყო ლაპარაკი დასასრულ, დადგენილ იქნა გარდასაწყვეტად: დატოვებულ იქნას რწმუნებულთა კრების შარშანდელი დადგენილება, თუ გაუქმდესო. კრება 27 ხმის უმეტესობით 19 წინააღმდეგ დაეთანხმა გამგეობასა და ზედამხედველს კომიტეტს და გააუქმა შარშანდელი დადგენილება. ანგარიშის შესახებ სხვა საგნები შემდეგ კრებისათვის გადაილა.

თავმჯდომარეს სთხოვეს, რომ საღამოობით იყოს ხოლმე კრება, რადგან ბევრი სამსახურის გამო ვერ იცლის კრებაზედ დასასწრებლად. კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ხვალ, 24 მაისიდან, საღამოობით იქმნება კრება. კრება გადაილა დღეს, საღამოს 7 საათისათვის.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობისათვის გამგენი

უკვე შეუდგენ მუშტადში ფარ-დულეებისა და სხვა საქონლს სადგომების მოწყობას. ბაზრობა და სეირნობა, როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა, ხვალ, 25, და ზეგ, 26 მაისს, გაიმართება. ამ ბაზრისათვის გამგეთ აუარებელი, მეტად კარგი და ძვირფასი ნივთი შეუძენიათ და შეუკრებიათ. ნივთები ძალიან იაფად გაიყიდება. ამას გარდა მუშტადში გაიმართება სხვა-და-სხვა გასართობი, ბაზრობის დროს დაუკრავს ორი მუსიკა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება, როგორც ყოველთვის, ხვალინდელ ბაზრობასაც ბლომად დაესწრება.

ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი სხდომა ორშაბათს, 28 მაისს, მოხდება.

მკითხველებს ეხსენებათ, რომ ამ რამდენსამე ხნის წინად ქალაქის საბჭომ 10 კაცისაგან შემდგარი კომისია ამოიჩინა, რომელსაც დაევალი განეხილა დაწერილებით ინჟინერთა პა-ისოვისა და ბრაილოვსკის პროექტი სოლოლაკის გორის ქვეშ გვირაბის გაყვანის შესახებ. ამ საქმის განსახილველად დღეს, 24 მაისს, ექნება ქალაქის გამგეობასთან ერთად სხდომა საღამოს 8 საათზედ. სხდომაზედ მოწვეულნი არიან, სხვათა შორის, კავკასიის წყალთა ინსპექტორი ბენი პეტროვი, ყოფილი ინსპექტორი ფონ-ვეისენოფი, გზათა უწყების ინჟინერი ბენი ვურცელი და სხვანი.

ბაქოს ნავთის-მწარმოებელთა საბჭომ, განიხილა რა გამოფენის გამართველ კომიტეტის მიწერილობა შემწეობის აღმოჩენის შესახებ, დაადგინა გამოფენის გასართავად კომიტეტს 5,000 მ. შეეწიოს. ეს ფულეები გამოფენის გამართველმა კომიტეტმა ამ დღეებში უკვე მიიღო.

დღეს, 24 მაისს, ავქალის სახალხო თეატრში სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება ბენის ა. ფურცელაძის ნ მოქ. ტრაგედია „აფხაზები“.

ქალაქის გამგეობის დარბაზში დღეს, 24 მაისს, საღამოს 8 საათზედ ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის ზოგიერთა მიმდინარე საქმის განსახილველად სხდომა აქვს დანიშნული.

ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ მიწერილობა გაუზიარა სახალხო მატარებლების უფროს კონდუქტორებსა და რევიზორებს, თვალ-ყური ადევნონ, რომ მატარებლების მოძრაობის დროს უმიზეზოდ ერთის ვაგონიდან მეორეში გადასვლ-გადმოსვლა აღკაძული იქმნეს; რადგანაც ასეთი სიარული მგზავრებს ავიწროებს.

უმალღესი მთავრობა საშუალო სატენიკო სასწავლებელთა რეფორმის პროექტს ამ წლის აგვისტოს განიხილავს. აზრად აქვთ პირ-

ველი სამი კლასი საზოგადო განათლების კლასებდ გადაქციონ. ჰფიქრობენ აგრეთვე ამ სასწავლებლებში ფრანგულია, ნემეცურისა და ინგლისური ენების შემოღებას. სწავლა-დამთავრებულთ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის უფლება ექმნებათ. სწავლის ვადა შეიდი წელიწადი იქნება. სწავლა-დამთავრებულთ მიენიჭებათ ნასწავლ ხელოსანთა წოდება.

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებთა სამინისტრო ამა მიმდინარე წლის შემოდგომაზედ ამიერ-კავკასიაში განსაკუთრებულ კომისიასა ჰგზავნის შიდა გუბერნიებიდან სამ-ოთხ უკანასკნელ წელს აქ გადმოსახლებულ რუსთა ყოფამდგომარეობის გამოსაკვლევად.

დღეს, 24 მაისს, კრება ექმნება ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს. საკრებულომ უნდა განიხილოს ხუთი საქმე.

საქართველოს საგზარბოსოს სასწავლებელთა საბჭომ შეამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ დამატებითი თანხა იქმნას გადადებული საგზარბოსოს სკოლებისათვის სახელმძღვანელო წიგნებისა და სასწავლო ნივთების შესაძენად.

ახლად არჩეული ქუთაისის ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე 19 მაისს შესდგომა თანამდებობის აღსრულებას.

გორის მაზრის მემამულეს მ. ვ. კობახიძეს უცნობებია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსათვის, გორის მაზრაში 18 დესეტინა სარწყავ მიწას დაეუთმობ საზოგადოებას, თუ იგი საბაღოსნო სკოლას აქ გადმოიტანსო. ეს ადგილი მდ. მტკვრის მარცხენა მხარესა მდებარეობს, გორის სადგურიდან 10 ვერსის მანძილზედ. ადგილს 2000 მანეთი ბანკის ვალი ადგეს.

ამ დღეებში კრება ჰქონდა ტფილისის ქალაქის საბჭოს იმ კომისიის, რომელსაც დაევალებული აქვს მომავალ გამოფენაზედ ქალაქის პავილიონის გამართვა. კომისიამ დაადგინა შეიძინოს პავილიონისათვის 30-დგან 50 ოთხ-კუთ. საყენამდე საუკეთესო ადგილი და აავსოს პავილიონი. კომისიამ სურვილი გამოსთქვა, რომ პავილიონი ქალაქის გამგეობის შენობასა ჰგვანდეს. პავილიონის პროექტის შედგენა ქალაქის ტენიკოსებს დაევალიათ. კომისია ერთ-ერთ საუკეთესო პროექტებს აარჩევს ტენიკოსთა მიერ წარდგენილთა. პავილიონის გასამართავად გადადებული იქმნება 3,000, ხოლო იმის მოსაწყობად 2000 მანეთი.

მრავალ გამოფენის გამგეკომიტეტმა ქუთაისისა და ერევნის გუბერნატორებს ორას-ორასი მანეთი გადასცა საკოლექციო ექსპონატების

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა, კვიკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი სავანისა, № 21 (გორანტოვის ძეგლის პარადიზი).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

გ. ა. ჭანაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლოლა ელექტრონი—9—10 საათ.

ნ. ა. მუხანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ბ. ა. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ბ. მ. მატყვია—თვალის 11—12 საათ.

ქქიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედაშვილი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

მ. ჯ. მარგველი—საქირურგო—12 1/2—1 1/2 საათ. სამშობობით 3—4.

ბ. დ. ბუგაშვილი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1 1/2—2 ს.

ს ა ლ ა მ ო თ ი:

ბ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ბ. ა. ბუღაჯალიანი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მი-

კრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაკობით:

ბ. ბ. მადლაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კა. ოპერაციები—მორიგებით. კროტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კროტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუთაში. ვორონოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა მ ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

წ. ა. ბაბანასანიანი—დილის 11—12 საათ ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ბ. ი. გეგეიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ს. ბ. ჯანაშვილი. 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ლ ა მ ო ბ ი თ:

ნ. ნ. რასტვორნიკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თანაშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

და აუტრის ყვავილს კვირაკობით 9—10 ს.

შესაკრებად და გამოსაგზავნად.

* 22 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის სესიათა თელავში წავიდა საქმეების განსახილველად. თელავიდან სესიათიონეთში წავიდა, სადაც 30 მაისამდე დაჰყოფს. 22 მაისსვე სიღნაღში დაიწყო მოქმედება ამავე სასამართლოს სესიამ. სიღნაღში საქმეების განხილვის შემდეგ, სესიას ზაქათალაში ექმნება სხდომები.

* როგორც მკითხველებმა უკვე უწყობან, ბ-ნმა რომიმ თავი გაანება უსახელო საზოგადოების დირექტორებას. რომიმ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ჩემ მოადგილედ ირეგულირებოდა ბლანში იქმნებოდა.

* როგორც გვატყობინებენ, ს. ხიბულში თავ. დადიანის ოჯახში აღმოუჩენიათ ერთი შესანიშნავი ხელთ-ნაწერი (კოლოუმბანში 1765 წელს გადაწერილი), რომელშიაც საბა-სულხან-ორბელიანის იგავ-არაკები თურმეა მოთავსებული. უმეტესი ნაწილი ხელთ-ნაწერისა შეიცავს აგრეთვე ჯერეთ უცნობს ლექსებს ჩვენის ცნობილის მემბრანის პაპუნა ორბელიანისას. წიგნი მოქცეულია პაპუნასივე ჯერეთ უცნობი პოემა ლექსად, რომელშიაც აღწერილია ვახტანგ მეექვსის თავგადასავალი და ისტორიულნი გარემოებანი—1724—1725 წლებისა.

* როგორც ქუთაისიდან „ახ. მიმ.“-ს წყურენ, ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთ განსაკუთრებული კრება ექმნებათ საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეისათვის ფულის გადასადებად.

* სამშაბას, 29 მაისს, ტფილისის სამსახურთა მხარის სისხლის სამართლის 1-ე დეპარტამენტი განიხილავს საქმეს ქუთაისის გუბერნიის, შორონის მხარის, დ. სახურის ნაწილის ბაჭყალი და ნაშრომის ბ-ნის ფიცხელაურისას, რომელსაც დასაწერის მცხოვრების დურგლის, აწ კარდავლაძეების მასურადის გაღასებით შეურაცხეთა და თავისის მოქმედების დასაფარავად უსდებოქმის შედგენა მხარეებთან. ბრალდებულს ფიცხელაურს დაიწესა ნაფიცი ვეჭაღის თანამეშვე თავ. ი. ბარათაშვილი. ამ საქმის გამო 8 მოწამე დასარბული.

* 25 მაისს კავკასიის სამსახურთა მხარის მხარეებთან ნაშრომის, სხელ-მწიფო საბჭოს წევრს კ. ბ. ახარკიანი ადგილობრივ სამსახურთა უწყების მოსამსახურენი გამოსათხარად სადაღის უმართავენ.

* ქალაქის სასწავლებელთა კომისია მომავალს კრებაზე განიხილავს ქალაქის პირველ დაწესებულ სასწავლებელთათვის ქ-ნ ლომიძის სხელის შექმნის საქმეს.

* 27 მაისს ტფილისის საიუნკრო სასწავლებლის მოსწავლენი დასასურამში მიდიან სასაფრულოდ.

* კავკასიის მომავალ სასაფრულო-სამეურნეო და სამრეწველო გამოყენებად მანაწილეობის მიღების სურვილს მრავალი აცხადებს. ამ დღეებში ასეთი სურვილი განაცხადეს: „სიმეხის“ სხელის ქარხანა-დირექციამ, ცხინვალის ნორმალურმა სასწავლებელმა და ქუთაისის გუბერნიის სასწავლო სასწავლებლებმა. ამას გარდა ბ. ა. ავლაძემ განაცხადა სურვილი გამოგზავნის გამოფენაზედ საფრანგეთში ნაწარმოებნი ადვანსტრისკანს.

* ს. ო. შ. ა. ი. 15 ამ თვისს აქაურმა მცხოვრებელმა გლეხმა ი. ექვთი-

მიშვილმა მოიტაცა ამავე სოფლის მცხოვრების გლეხის ა. ხობიშვილის ქალი. თურმე ეს ქალი ამ კაცს ცოლად უნდოდა. ქალის დედ-მამისთვის განეცხადებინა თავისი სურვილი. რადგანაც ქალს ვაჟი არ მოსწონებოდა, დედ-მამას ვაჟისათვის უარი ეთქვა. ვაჟს ეს ძლიერ სწყენოდა და როდესაც სიტყვით ვეღარა გააწყობა, ადგა და ამ ხერხს მიმართა: ერთ დღეს, საღამოთი, როდესაც ქალი მზარზედ გადებული წყლით სავსე კოკით სახლში მიდიდა, გადაუდგინა გზაზედ შეიღებულნი ის ვაჟი და მისი ამხანაგი ყარაშა ხობიშვილი, და როგორც იყო ი. ექვთიმიშვილის სახლში შეიყვანეს და კარები ჩაუკეტეს. ქალის წივილ-კივილზედ მიცივდნენ მეზობლები, შევიდნენ სახლში და ქალი ხელიდან გააგდებინეს. მეორე დღეს გლეხებმა, რიცხვით 50 კაცმა, თავიანთებურად, ძველებურად, მოარეკინეს მინდორიდან ჩვენი რაინდების მოზრები, დაჰკლეს და არხიანად შეექცნენ. ის იყო ნადიმს ათავებდნენ, რომ ამ დროს ბოქაულიც მოვიდა. ვგ რა გიქნიათ, ჰკითხა ხალხს ბოქაულმა. „ჩვენ სასოფლოდ რაც გვიწოდოდა ის გარდავახდევინეთ და ახლა თქვენ იცითო“, არხიანადვე უპასუხა ხალხმა ბოქაულს.

ქალთა ამხანაგობა

იმ ქვეყანას, იმ ხალხს, რომელთაც ქალი ჰყავს გონებითა და საქმით მიძინებული, სადაც ქალი არის თავისნობის მოკლებული, არა ჰხედავს და არა ჰპატრონობს ქვეყნის ბოროტს, ქვეყნის ზარალს, — ის ვერი, ის ქვეყანა არის წარმატებასა და სიცოცხლეს მოკლებული. ქალის ენერჯია, ქალის საქვეყნო საქმეებში გარევა, საქვეყნო საქმეების კისრება, თაოსნობა აფიზლებს ქვეყანას, ამხნევებს და თავს ადებინებს მამაკაცთაც, ამკვიდრებს ოჯახში ძალას გონებრივს, ქონებრივს, ზნეობრივს, აღვიძებს ქვეყნის სიყვარულს, ქვეყნის საქმეებისთვის ზრუნვას. ევროპა თუ ასეთის სწრაფის ნაბიჯით მიდის წინ, აქ დიდიადილი უქირავს ქალთა თავისუფლებას, ქალთა საქვეყნო საქმეებში გარევას. და უკეთეს ვიდრე წოდებული აღმოსავლეთის ვერნი ასრე დაემხნენ, ასრე ჩამორჩნენ ყოველს წარმატებას და გახდნენ მონანი ერთი მუქა ევროპიელთა, ეს მოხდა ქალების დატყვევების მეშვეობით, ქალების ჰარმონიამ გამოამწყვდევს მიზეზით, ქალებში თაოსნობის და საქვეყნო საქმეებში გარევის მოსპობით.

ჩვენდა საბედნიეროდ, ქართველი ქალი არ იყო მონა მამაკაცისა, ქართველი ქალი არ იყო მოკლებული ქვეყნის პატივსა და დიდებას, არა ჰქონდა შეკრული ხელ-ფეხი. მართალია მუსლიმანთა ზნე-ჩვეულებათა განვლენამ ბოლოს და ბოლოს ქართველობაშიც შეიტანა თავისი გამხრწნელი ძალა, მაგრამ საბედნიეროდ ჩვენდა ამ ზნე-ჩვეულებამ ვერ იპოვნა მკვიდრი საფუძველი ჩვენს ცხოვრებაში. ქართველი ქალი იყო კიდევ მხნე, თავისუფალი, ის კიდევ უღდა საქვეყნო საქმეებს თავში, ის არ სდებდა მონობაში თავს, ის ამოძრავებდა გონებას, ჰპატრონობდა ქვეყანას. აიღეთ ამ მუსლიმთა განვლენის ხანებში ასული ქუცნა ამირჯიბისა, რომელმანც ალაგო და განაახლა ლანგ-თემურისაგან დანგრეული დიდებული ტაძარი სვეტიცხოვლისა. აიღეთ იმავე მოკლე ხანებში ქვრივი დედოფალი გულშარა, რომელმაც თავისი დიპლომატიური ნიჭით გააკვირვა მთელი

გარემო მუსლიმთა ქვეყნები და გახდა მოციქული ორთა ძლიერთა მეზობელთა სახელმწიფოთა — ოსმალთა და სპარსთა შორის — და ამ თვისის მოციქულობითა და მოხერხებულის დიპლომატიური ქვეყნით ხსნა საქართველო მრავალი განსაცდელისაგან. აიღეთ ქეთევან დედოფალი და იმისი საოცარი სამხედრო და ქვეყნის მოვლის ნიჭი, მინამ არ მოგსწრებოდა თვისი უბედური და ქვეყნის დამამბობელი შეილი თემურაზ. აიღეთ მარიამ დედოფალი, მეუღლე გამუსლიმებულის მეფის რუსტომისა, და სხვანი და სხვანი. ერთის სიტყვით ქართველი ქალი არ დავიანა მუსლიმთა ზნე-ჩვეულებას: მან ავად იყო თუ კარგად დაიცვა თვისი ადამიანური სახე, დარჩა კაცად, რაოდენათაც-კი თავისი გარემოებანი უწყობდნენ ხელს.

და აგერ ახლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ქალები კვლად იჩენენ მხნეობას, კვლად უდგებიან საქვეყნო საქმეებს სათავეში, და ჰკიდებენ სწორედ იმგვარს საქმეს ხელს, რომელთაც უნდა ჰქონდეთ ერთი უმთავრესი მნიშვნელობა საქვეყნო წარმატებაში. მე-რ ჩამოვთელი ყველა საქმეებს, სადაც ამ 30-მწ—წლის განმავლობაში ქალებს თანასწორო მონაწილეობა ჰქონდათ მამაკაცებთან, ან მარტო თვითონ იყვნენ საქმის დაწყებნი, მხოლოდ როგორც მაგალითს არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება მას, რომ დღეს „წერა-კითხვის საზოგადოება“ თუ ინახავს თავს, ეს მხოლოდ განსაკუთრებით ჩვენთა ქალთა მეცადინეობით, სადაც პირველი ალაგი უქირავს დაუზარელს და დაუშრომელს პატივცემულს ოღუა ჰავაზადისას; ქალთა გინაზიის ფონდის დაარსებას, რომლისაც სათავეში სდგას პატივცემული მარიამ ორბელიანისა და სხ. და დღეს ვხედავთ კიდევ ახალს და დიდ-მნიშვნელოვანს ქალთა საქმეს. ეს ვახლავთ ქალთა სამკურვალთ.

ქალთა სამკურვალთ! რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო, იტყვიან ზოგნი. დიახ, ჩემო კარგო მკითხველო! დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება, უკეთეს მე და შენ ამას ყურადღებას მივაქცივთ. ის რა არის, მე და შენ რომ ვეძებთ „ბრძოლას ცხოვრებისათვის“? მე ვკლავაც მიმიქცევი ჩვენის საზოგადოებისათვის ყურადღება და მითქვამს, რომ დღევანდელს წესში „ბრძოლას ცხოვრებისათვის“ უქირავს უბირველესი ადგილი ინდუსტრიას. აქ უნდა დავიჭიროთ მკვიდრი ადგილი, ინდუსტრიაში ჩავდგათ ფეხი, ვავისვავთ იგი ძვალსა და რბილში, და მაშინ საშიში აღარ არის, რომ ადვილად გავხდეთ მსხვერპლი ყველა პირგაღებულის ვეშაპისა.

და სწორედ ეს ქალთა სამკურვალთ არის დაწყებული ამ ახრით. მაგრამ, ესეც ცოტაა. გარდა ამ ახარისა: აქ ვინ სწავლობენ? სულ ობლობა, ყოვლად უბატონო, ყოვლად უსახსრო და ყოვლად უბედური მომავლის პატრონი წვრილფეხობა!

აი ამით ჰპოვებენ, ამით ირჩევენ, ამითა ზრდიან და ასწავლიან. ერთმხრივ ამით აძლევენ ცხოვრების სახარს, მეორეს მხრივ ამითი უშვადებენ საზოგადოებას გონიერს მშრო-

მელს და საზოგადო სახსრის წარმმატებელს ქალს და მასთან ოჯახის გონიერს პატრონს. ამ ქალთა, გარდა ქრა-კერვისა, ასწავლიან ქართულს წერა-კითხვას, გრამატიკას, არითმეტიკას, აცნობებენ ჩვენს მწერლობას, ჩვენს საზოგადო საქმეებს. სიტყვით, ზრდიან გონიერს და მხნე დედებს, მოსაზრებულთ ინდუსტრიის მოღვაწეთ.

რითი და რა სახსრით? ერთს რასმე საოცრებას ვხედავთ ჩვენს საქვეყნო საქმეებში. უსახსრო ხალხი ვკიდებთ უსაღსროთ საქმეს ხელს და, წარმოიდგინეთ, რომ მიგვყავს ეს საქმეები, არ ვიტყვებით გულს და საქმესაც რაღაცა, თითქო სასწავლით, ეწყობათ ხელი და მიდიან წარმატებაში. აიღეთ, მაგალითად, თუნდა ჩვენი თეატრი. განა ასეთს ვიწრო და ღარიბს საზოგადოებაში, როგორც ჩვენთა, შევძლოა სხვაგან თავი შეენახა თეატრს. მაგრამ აგერ რაღაცა უჩინარი ძალით მიდის თეატრი წარმატებაში, ვითარდება: მაყურებელი ემატება, ნიჭნი ჩნდებიან, იღვიძებს საზოგადოების თანაგრძნობა. აიღეთ იგივე „წერა-კითხვის საზოგადოება“. დავიწყეთ ცარიელი ხელით და დღეს ის ინახავს საქმას და ღირსეულს სასწავლებლებს, ინახავს დიდს ისტორიულს განძს—ძველს ხელთნაწერებს და წიგნებს და მით უნახავს ისტორიას მასალას და სხვა. აიღეთ სასათავად-აზნაურო სასწავლებელი. მტკნარი ცარიელი ხელით შევუდევით საქმეს. დღეს რას ვხედავთ?—სრული გინაზია, სადაც იზრდება ხუთას-ექვასასი მოსწავლე, აქვს მქვის ათას მანეთზედ მეტი ხარჯი და ჩვენი საზოგადოება ამითი თან და თან იშლება წელში. აიღეთ ის დიდი საქმე, რომელიც ჩვენი საოცარი მხნეობის პატრონმა, ბ-ნმა ცხვედამ დიწყო: ეს სამაგალითო შენობა თავად-აზნაურთა სასწავლებლისა. იწყო ცარიელი ხელით და ჯერათი ათასი თუმანი ჩაჰყარა ამ შენობის ასაგებად, და არ იტყვავს გულს, არ უშინდება მას, რომ ერთი ხუთათ, ერთი შეიდათ მეტი ხარჯი დასჭირდება კიდევ, იზრდება თან და თან საზოგადოების თანაგრძნობას და აგერ ვკითხვობთ და ვხედავთ, რომ ყოველ მხრივ მოდის შესაწირავი არამც-თუ იმგვარი შემძლებელი კაცებისაგან, როგორც კოსტანტინე მუხრან-ბატონი, შუა შეძლების კაცთაგან, როგორც განძივლი და სხვა, თვით ისეთი მწირი ხალხისაგან, როგორც იყო განსვენებული ილია წერხეულიძე, რომელმაც ამ სასწავლებელს შესწირა ხუთასი თუმანი და სხვა ამგვარები.

ამგვარვე უსახსროთ იწყო რამდენიმე თავგამოდებული ქალმა ეს საქვეყნო საქმე და მიიყვანეს იქნამდის, რომ დღეს აქ ემატება ქვეყნის სამსახურისთვის სამოც-ოთხმოცამდის უბატონო და უსახსრო ქალი, და ამ რიცხვს ემატება დღით-დღე.

უნდა გენახათ ამ დღეებში ლიტერატურული დილა რაფიელ ერისთავის ვასახსენებლად: რა ცოცხლით, რა გატაცებით, რა გრძნობით წარმოსთქვამდნენ ეს პაწაწა ქალები რაფიელის ლექსებს; რა მშვენიერი ტკბილი კოლოთი ჰმღეროდნენ ქარ-

თულს ხმებს, რომელთაც ქვეყნის კვირის განმავლობაში — ესწავლებინათ მათთვის უსახილოდ კოტე რატი-შვილს. უნდა გენახათ, რა ალტაცებით შეტყუებდნენ ამ თავის ნაყოფს, თავის შრომის, თავის შეილებათ ნაკისრს ბავშვებს ამ საქმის მოთავე ქალები, რომელთა შორის არიან იგივე ოღუა ჰავაზადისა და ჩვენი ნიჭიერი მწერალი ეკატერინე გაბაშვილისა და სხვა ჩვენი დიდი ხნის მოღვაწე ქალნი.

დიახ, ჩვენი ქალები გამოსულან საქვეყნო საქმის საპატრონოდ, გამოსულან თავგამოდებით, დიდი საქმის შესასრულებლად. მაგრამ უსაღსრონი, ცარიელი ხელით, და ახლა რიგია წაშვებულს ამით და წახსნაროს ხელი ჩვენმა საზოგადოებამ.

ერთი პირი და ერთი სული, სიყვარული საქმისა და უკეთესის მომავლისა, და მაშინ ალაგი აღარა აქვს სასოწარკვეთილებს ჩვენს მომავალზედ.

ანტონ ფურცელაძე

ქასპიის ზღვის პირად ცხოვრება ცხვარ-მცხვარისა და ცხვრისა ლოგა და მოხმება.

(შემდეგი *)
სტუმრის დახვედრამდე გულ-უხეობას მეტყველებს მიღებული და ბინაზედ მისულს სტუმარს უფრო მეტს პატარას სტუმარს, ვიდრე ოჯახში. სასტიკად მისადებს სტუმარს უთუოდ საკვავს დაუკლავენ, თუნდაც ხორცი უმისხადც ბეჭი მჭიდრეთ ბინაზედ და ღვიძლს მიუტანენ. ყოველს სამეგრეოში საკმარის და სავაჭაროდ ლექსის მღერის მეტყველებს თან ლექსითა გამოთქმის კალათ მოწყენილი ხმა ესწრებათ. დალოცვილების ცხვრებისა, ნადგომზედ წაწიდანია, იმით მიმოქვის კაცისა ნაწილზედ ხორცილია, — ამბობს მეტყველებს. მართლ-და, ვინც მეტყველებს მკვარს ექვას, უთუოდ რომ სამართლიანადაც არის ეს სიტყვა ნათქვამი. ბეგრანარი მტერი ჰქავს ცხვარ-მცხვარეს, ბეგრანარი გამოჰყურებელი, წამოთეველი და ცუდ-უხელოდ გამოჰყვით რუსის უსახელები რომ სხანდირდნენ სათუგზოდ დადიდნენ და იმ დღეს ნადირ ვერა ხსნან, უთუოდ ცხვარ-მცხვარეებისაგან წაყვანილი უმარის მოსაგონებლად, რომ გამოჩნდნენ რასმე.

სთვლით ეველიერას ადების დაქმდე ანუ თებერვლის ბაქოში მეტყველებს ქ-ნ ფარქუშა კაცარუს დროს შეგებითა და განცხრობითა და შემდეგ დედ-მარგას ანუ პირველს მარტს მოჰყვება დედობა და მარტის თაფლ-ქვანში და ტრლახებულს ნა-ფარქუშა დედა თუ ღამე მოჰყვრის სადლოდ მოწვეული ცხვარი ბატკანს. თუ ამანი ცუდაა, ცხვარი ღუბი შეჰხვავს, მასთან ბაღანი ნაკლებად აქვს და მტერ ცოტა ცუდში, მაშინ დიდი ბეჭობა აქვს ცხვართან ერთად მწვემსად. უკუღმ ღუბი და მშაერი ცხვარი ადარ იუგანს, ადარ ქვორას ღაფში მოსწრაფს თავისს შეილსა და განხედ გარის, დნავის, ბდავის, სცოდავი გაულოცველი ღმრთიანა*) და ღამეში მოსწრაფი ბატკანი; მშაინ და დედან-ლოს არ იკარებს, რადგანაც იმისი გულო არა აქვს და თვითონ დედანც შემშლით ფერდი ფერდს აქვს გარული, სიღუბითა და სიმშლით ძალა და ვარათი გამოსცდა. მაშინ მეტყველებს შედის ქვლამდე მორეში, იჭერს ცხვარს, შექ-

*) იხ. „ივერია“ № 105.
*) ლოპარი ახლად მოგებულს ბატკანს გამოსდევს ვეზიდვან.

ქალს ვერა ჰნახავთ თურმე ეხლა, რომ ბეჭები, მკერდი და ხელები სხვა-და-სხვა სურათებით არა ჰქონდეთ აჭრელებული. ეს მოდა ნიუ-იორკში შემოიღო ერთმა შე-სანიშნავმა ინგლისელმა მოცეკვავე ქალმა ნიუ-იორკში გასტროლობის დროს. პირვე-ლის წარმოდგენის დროსვე სცენაზედ ამ ქალს თეთრს ბეჭებსა და ხელებზედ მშვე-ნიერი ჰუბლები ჰქონია დახატული. ისე მოეწონათ ეს ამერიკელ ქალებს, რომ მალე მოცეკვავე-ქალს მრავალი მიმბაძვეი აღმოუ-ჩნდა. ამგვარის სურათების ხატვას ნიუ-იორკში მისდევს ერთი მოხუცი ირლანდი-ელი, რომელსაც წინად ნიუ-იორკში საღე-ბავების პატარა დუქანი ჰქონდა. დღეს იმ-დენი სამუშაო აქვს თურმე ამ ირლანდი-ელს, რომ თავი მალე ვერ აუღია. ზოგს ჰეპლებს უნატავს ხელებსა და მკერდზედ, ზოგს გველებს და ზოგს კიდევ რაიმე ბრძნულ სიტყვებს უწერს.

დებემა

(ერუსეთის დებემათა სააგენტოსაგან)

22 მაისი.

პატარაპატარა. უმარტებელესი სე-ნატი აცხადებს: „რადგანაც სახელ-მწიფო სამსახურში ებრაელების მი-ღების შესახებ ყველა უწყებაში ერთნაირი წესებია მიღებული, დაი-ბეჭდოს საყოველთაოდ საცნობლოდ, რომ აწ მომქმედის კანონდებულებით სახელმწიფო სამსახურში ებრაელებს მიღების საზოგადო აღკრძალვი-დგან უნდა გამოირაცხოს იქმნენ შე-მდგის უფლებების მქონე ებრაე-ლები: 1) ვისაც დოქტორისა, მა-გისტრისა და კანდიდატის სამეცნი-ერო ხარისხი ან კურსის დამთავრე-ბის პირველის ხარისხის დიპლომა აქვს, აგრეთვე ისინი, ვისაც მედი-ცინისა და ხირურგიის დოქტორა-ბის სამეცნიერო ხარისხი აქვს მიღე-ბული; 2) ვისაც მკურნალობის დიპ-ლომი აქვს მიღებული, მხოლოდ ამათ სამკურნალო ნაწილში მიეცე-მათ სამსახური; 3) ვისაც ინჟინერ-ტექნოლოგის ხარისხი აქვს მიღებუ-ლი, რომელთაც მხოლოდ სატექნი-კო ნაწილიდან ეძლევათ სახელმწი-ფო სამსახური და 4) ვისაც მიწის მშობელობის გამამჯინელს სასწავლე-ბელში აქვს წავლა დამთავრებული; ამათ მხოლოდ საგუბერნიო გამამჯ-ინელს უწყებაში ეძლევათ ადგილი“.

ლოში. გუშინ საღამოთი, საში-ნელი ნიავ-დვარი და წვიმა მოვიდა; ნახევარის საათის განმომავლობაში ზოგიერთა ქუჩები და სარდაფის შე-ნობები მთლად წყლით აივსო. წყალიდობამ ხალხს ისრე დიდი ზა-რალი არ მისცა, რადგანაც საჭირო განკარგულებანი დროზედ იქმნა გა-ცემული.

ლიუბლინი. ხელოვნებათა და სიძველეთა გამოფენა გაიხსნა.

მეხ. აქ ჩამოვიდა ფრანც იოსე-ვის სახელობის დრაგუნთა მე-35 რუსთა რაზმის ოფიც-ების დეპუტა-ცია. დეპუტაციას იმპერატორი ხვალ მიიღებს.

პრემიერი. დანიშნულ იქმნა სა-მხედრო კომისია, რომელმაც ინგ-ლისის ჯარების მიერ სამხრეთს აფ-რიკაში მიყენებულ ზარალის შესა-ხებ წარდგენილი საჩივრები უნდა განიხილოს და ახსნაური გადუქრას. დღემდის 3 ათასი საჩივარი წარდ-გენილი, სულ მთლიან გირვანქა სტერლინგის ღირებულობისა.

პაპუბადი. 18 მაისის ბრძოლა კრიუგერსდორფის მახლობლად მო-ხდა ფლავონტენთან და არა იმ ფლავონტენთან, რომელიც რკი-ნის გზის ლიანდაგზედ მდებარეობს იოჰანესბურგსა და ნატალს შუა.

შანაი. აქ მოვიდა ჩინეთში მი-მავალი მამადინთა მისია. აქედგან საით წავა, არავინ იცის.

ლონდონი. როგორც მადრიდი-დგან იუწყებიან, გუშინ იქ 500 ტყვე ბური მიუყვანათ; საღამოთი ტყვეებს ტრინინოპოლში გაგზავნი-ან რკინის გზით.

შანხაი. როგორც ხმა დადის, ადგილობრივს გუბერნატორს სიან-ფუდგან ცნობა მიუღია, რომ ჩინე-თისაგან გამოთხოვილ საზღაური-დგან მისს პროვინციას წილათ ჰხვე-დრია სამი მილიონი ტაელი. ახლა გუბერნატორსეა დამოკიდებული, ფულს როგორ და საიდან იშო-ვოს. გაზეთები შევნიშნავენ ამის გა-მო, რომ, თუ მართლა ასეთი გან-კარგულება გამოუციათ, მაშინ და-ნამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შუაგულ ჩინეთში შესაზიდს საქო-ნელზედ საბაჟო გარდასახალი ძლი-ერ იქმნება მომატებული და ეს გა-რემოება-კი ვაჭრობას სრულიად დას-ცარავს.

ტიანძინი. ტაკუს ქუჩაში მომხ-დარ ამბის გამოძიების მიზნით ვალ-დერზემ წასვლა ჯერ-ჯერობით გა-დასდვა.

ბერლინი. „Norddeutsche Zeit-ung“ სწერს: რადგანაც სახელმწი-ფოთა და ჩინეთს შორის მოლაპა-რაკებას უმთავრესს მუხლებში პრი-ნციპიალურად შეთანხმება მოჰყვა, წარსულის წლის ივლისიდან ად-გილობრივ ჩინეთის საელჩოს დეპე-შით მიწერ-მოწერაზედ დადგენილი მეთვალყურეობა ამიერიდან ახსნი-ლია“.

კონსტანტინოპოლი. ოსმალების სსსმართლებში დღემდის მიღებულს ვეკილებს ოსმალების მთავრობამ სსს-მართლოში საქმის დაგვა სრულიად აღუ-კრდა, თუ რომ ამთ ოსმალების სა-სჯულო სკოლის მოწამებები არ ექმნე-ბათ მიღებულა. კონსტანტინოპოლში მცხოვრებმა უცხოელმა ვეკილებმა კრება მოახდინეს, რომ ამის შესახებ ერთად მოიდაზარაჯან და მთავრობას თავისი ზა-სუხი წარუდგინან.

მეხ. ნაცონსდისტა შორის ად-რუდის კამათისა გამო დეპუტატთა ზღა-ტის საღამოს სხდომაზედ მინისტრ-პრე-ზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობა გერმანულ ერისა თუ ავსტრიაში მცხოვ-რებ სხვა რომელიმე ერის წინააღმდეგ არსადგეს არას წარმართავს. მთავრობა ვეკლას ერს სამართლიანად ეუბრება. იმ სსსემოფოში, სადაც ამდენი სხვა-და-სხვა ერი სცხოვრობს, ნაციონალურ-პოლიტიკური პრინციპმა არ გამოდგე-ბა; პირველი ადგილი ვეკლას ერის სა-ზოგადო ინტერესებს უნდა დაეთმოს.

შორს რომიდგან—ის მოძრაობს მინი-სტრი კათოლიკეთა ეპიკლესიასთვის მუ-სუბლად არა სთვლის.

ნიუ-იორკი. „New-York Her-ald“-ის სიტყვით, სენტარს განხს უთქვამს ერთის უწინაღობისთვის, რომ თუ ამერიკა საკარგე ვაჭრობის გასავითარებლად რაიმე დასთმოს სა-ზაჟო კარდასახადში, მხოლოდ თანხმად ხელშეკრულებისა და ურთიერთ შორის შეთანხმებისა.

პეკინი. ახანულები ჩინეთში 9,000 კაცს-და დასტოვებენ, ხოლო ინგლისე-ლები 3,000; დანარჩენი ჯარები იფლი-სამდე ან-და სსსხდის უკან დაბრუნებამ-დე-და დაჩეხიან ჩინეთში.

ბეღეიელები რკინის გზის გაყვანას ჩეუნდოუს იქით გასაგრძობენ. პრინციპ ცინმა წინადადება შეიტანა, რომ ბეღ-ეიელებს მთელს ლიანდაგზედ ჩინეთის დასაჯი მიეცეს, მაგრამ ფრანკები სა-ჭიროდ სცნობენ ექსპის თავს განმე-დობაში ისევე ამათი დასაჯი ადგეს.

პაპუბადი. რადგანაც პაპუბადე-ბის ქვეყანაში საქონლის ჭირი გაჩნდა, აქედგან ორსუეს რესპუბლიკის საზღვარი შეკრულა.

23 მაისი

პატარაპატარა დანიშნულ იქმნენ: ფერგანის ოლქის სამხედრო გუბერ-ნატორი გენერალ-ლეიტენანტი ჩიი-კოესკი მე-12 ქვეთა დივიზიის უფ-როსათ; გენერალ-მაიორი რედკინი უსტ-დენის ციხის კომენდანტათ, და სსსზღვრო დარაჯის ცალკე კო-რპუსის უფროსის თანაშემწე გენე-რალ-ლეიტენანტი დიტერისი ამ კორპუსის ამურის იქითა ოლქის უფროსათ.

ბერლინი. რადგანაც ჩინეთთან მოლაპარაკების საქმემ იქამდის მია-ღწია, რომ ახლა პრეზიდენტად უკვე ჯარები გაჰყავთ ნაწილ-ნაწილათ, პეკინში მყოფს ელჩს მუშებს იმპერა-ტორმა ვილჰელმმა გეირგენის ორ-დენი უბოძა მეორე ხარისხისა ვარ-სკვლავითა და გარეშე საქმეთა სა-მინისტროსთან მყოფს საელჩოს ტა-ინი სოვეტნიკს კლეიმეტს მე-2 ხა-რისხის ორდენი გვირგვინისა.

ბელგრადი. 19 მაისს სადარაჯო სახლთან კრიმ-ჩუქსა და 21 მაისს სერბიის სოფელ ტრებინიესთან ამ წინაზედ დარღვეულ საზღვრისა გამო რომლის დროსაც ორი სერბიელი ჯარის-კაცი იქმნა მოკლული, სერ-ბიის მთავრობამ კონსტანტინოპოლ-ში წინააღმდეგობა განაცხადა. სერ-ბიის მთავრობამ შევნიშნა ამისთა-ნავე, რომ გარდაწყვეტილი აქვს ძა-ლა იხმაროს, თუ რომ ოსმალების მხრივ ასეთს საქციელს ბოლო არ მოელება.

პარიზი. უმაღლესის სასამართ-ლოს მთავრობა ბრალდებულმა დღეს საღამოთი ბრძანება გასცა, რომ გრაფი ლიურ-სალიუსი შეპყრობილ იქმნება.

ნოვოგოროდსკი. წარსულს და-მეს აქ დაიწვა წისკვლი ეპქრის ვა-სილიევის; ზარალი ორას ათასამდეა.

იაროსლავი. 22 მაისს იაროს-ლავის გზის საქონლის სადგურს მა-ხლობლად რიბინსკში საქონლის მა-ტარებელის ორთქლმავალს ქვაბი გაუტყდა. აქ შემთხვევით გზათ მი-მავალი სამი კაცი მოკლულია; მე-მანქანე მიძიდ არის დაჭრილი.

უუკოვის ხე-ტყის საწყობს ცეც-ხლი უკილია.

ხარკოვი. სულთაობის მატყლის ბაზრობა ოფიციალურად იქმნა გა-ხსნილი; შარშანდელთან შედარებით

წრულ გაცილებით მეტს მატყლს მოელოან, რადგანაც ადგილობრივ მატყლი ნაკლები გაიყიდა.

ძალიან ცხელა; დღეს 37 გრ-ადუსი სიტყე იყო.

მეხ. იმპერატორმა მიიღო დრა-გუნთა მი-35 რუსთა რაზმის ოფიც-ების დეპუტაცია; აუღუნციის შე-მდეგ იმავე რაზმის ეახსისტრი მე-ლინინი იქმნა ვაწვეული.

მ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

პიპინური

ბორსო-ციმიოლის სამონი
პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

გ. ფ. იურგენისა

აქრობს კორფლს, ნასიცხს, ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნუნლოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ

აქროს შედელი ღონდანი 1893 წ. ფასა თითო ნაჭკრას 50 კაპ., 1/2 ნაჭკრას 30 კაპ. იყიდება რუსეთის ყველა სა-კეთესო სა ფთიქოა მაღაზიებსა და აფ-თიქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. (48—5.—43)

ი კ ვ ა მ ა
ქირით ხუთი ოთახი.
ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი
გ. გ. საგინაშვილისა.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა»
მეორე სამკითხველო
გადავდა ვერის ხიდის ჩისავლი-ზე, ყორანოვის ქუჩაზე, მეტურნე-თოვის სახლში, № 1. სამკითხველო ლია ყოველ დღე, დილის 9—2 საათამდის და საღამოს 6—8 საათამ-დის. (2—უ—1)

ტფილისის გუბერნიის თანგ-ახნაურთა საზოგადოების შეუძლე-ბელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტი ამით აუწყებს ამ საზოგადოების წევრთ, რომ ჩვეუ-ლებრივი წლიური საზოგადო კრება დანიშნულია ამა წლის მაისს 26, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სა-თავდა-ზნაურო ბანკის სადგომში.

განსახლეველი საგნებია:
1) 1900 წ. საზოგადოების მოქ-მელების ანგარიში და ამ ანგარიშის შესახებ მოხსენება.
2) 1901 წ. საგარეულო ხარჯთ-ალრიცხვა.
3) მოხსენება საზოგადოების სა-კი-როებისათვის სახლის აშენების სა-ქმის მდგომარეობის შესახებ და 4) სხვა-და-სხვა თხოვნები და წერილმანი კთხვები. (3—5.—3)

Открыта подписка на еженедельный иллюстрированный политический литературный и общественный журнал

„АРГОНАВТЪ“

съ ежедневными прибавлениями,
издаваемый въ г. Тифлисъ.

Подробная программа будетъ напечатана въ первомъ номерѣ газеты, который выйdetъ 20-го мая.

Завѣдывающий отдѣлами: Вейденбаумъ Е. Г.—кавказскѣдѣнне и библио-графія. Иностранецъ—иностранная политика. Иоаннисиани А. А.—экономиче-ский и торгово-промышленный. А.—въ—внутреннее обозрѣнне. Потто В. А.—воядная исторія. Инженеръ Раголеръ Ю. Я.—научно-технической. Тхоржев-ская А. А.—литература и искусство. Хчатуровъ И. Г.—провинциальная жизнь, хроника и судебный отдѣлъ. Горн.-инж.—Ченгеры М. И.—горно-промышлен-ный. Вюхнеръ—художественный.

Фельетоны П. А.—Опочинина.

Постоянные сотрудники: Аствацатуровъ М. П., Борманъ К. Г., Гелен-ковъ А. Г., Иоаннисиани Р. А., Иваненко В. Н., Кишидзе А. Ф., Кишидзе П. Ф., Кузминъ А. И., Лейстъ Артуръ, Опочининъ П. А., Пахомовъ В. Н., профес. Рубахъ, Тамашевъ М. И., Францева В. А., кн. Черкезовъ В. Н., Чиминианъ А. С.

Постоянные корреспонденты въ Петербургѣ, Москвѣ, Одесѣ, Баку, Ба-тумѣ, Кутаисѣ, Пятигорскѣ, Эривани и др. городахъ Кавказа, Берлинѣ и Парижѣ, а также въ Персїи и Турци. Письма изъ Берлина—преф. Рубаха и изъ Парижа—Р. А. Иоаннисиани.

ЖУРНАЛЪ будетъ выходить каждое воскресенье въ раздѣлѣ иллюстраціями по текущимъ событіямъ.

Подписная цѣна: по 1-ое января 1902 г. для городскихъ и иногороднихъ 5 руб., на три мѣс.—3 руб. и два мѣс.—2 руб.

Плата за объявленія въ еженедельникѣ за строку печати: на 1-ой стр. 20 коп., на остальныхъ 10 коп., въ ежедневникѣ: на 1-й стр. 10 коп. и на остальныхъ 5 коп.

Подписка принимается въ Тифлисъ, въ редакціи и конторѣ (Головинскій № 14), въ „Центральной книжной торговлѣ“, въ книжной торговлѣ Л. Б. Хиддекели и въ газетномъ его агентствѣ (уголь Барятинской и Головинского проспекта) и въ Баку въ книжной торговлѣ Л. Б. Хиддекели.

Редакція и главная контора: Головинскій проспектъ, домъ Сараджева, № 14. Отдѣленіе конторы: Газетное агентство Л. Б. Хиддекели (уголь Барятинской и Головинского проспекта).

Съ 1 июля будетъ открытъ кабинетъ для чтенія русскихъ, тузем-ныхъ и иностранныхъ газетъ и журналовъ при редакціи „АРГОНАВТА“. Въ кабинетѣ будутъ получаться до 40 названий газетъ, журналовъ, научныхъ из-даній, романы, повѣсти и разсказы.

Кабинетъ будетъ открытъ съ утра съ правомъ безплатнаго входа под-писчикамъ „Аргонавта“. Неподписчики покупаютъ при входѣ номера ежед-невнаго прибавленія.

Редакторъ-издатель И. Ф. Тхоржевскій
Администраторъ И. Г. Хчатуровъ.